ნინო ჭედია[1]

გამოხატვის თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას შორის არსებული კონფლიქტი,როგორც ციფრული ეპოქის გამოწვევა

აბსტრაქტი

გამოხატვის თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას შორის კოლიზიის საკითხი საკმაოდ აქტუალურია საზოგადოებრივი განვითარების ნებისმიერ ეტაპზე, მით უფრო, გაციფრულების გზაზე მდგარი მსოფლიოსათვის. მიუხედავად ორივე უფლების მნიშვნელობისა და იმისა, რომ ისინი აღიარებულია დემოკრატიული და სამართლიანი სახელმწიფოს მნიშვნელოვან პრინციპებად, საკმაოდ რთულია მათი ურთიერთაღსრულებადი მექანიზმების შემუშავება. საკითხის სირთულეს განაპირობებს ის მრავალფეროვანი ურთიერთობები, რომლებმაც ვირტუალურ სივრცეში გადაინაცვლა და წაშალა ზღვარი გამოხატვის თავისუფლებასა და სხვის პირად ცხოვრებას შორის.

ადამიანების ყოველდღიურობა წარმოუდგენელია ახალი ტექნოლოგიების გარეშე. საზოგადოების უმეტესი ნაწილი საფრთხეს მხოლოდ მაშინ ხედავს, როცა საზიანო შედეგი დგება. სხვა შემთხვევაში სიფრთხილეს ფარავს ყოველდღიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების სურვილი, რაც ზრდის ელექტრონული საშუალებებით მოსარგებლე პირთა რაოდენობას და საფრთხის ქვეშ აყენებს მათი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას. გამოხატვის თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებათა შორის კოლიზიას ამძაფრებს სოციალური ქსელების რაოდენობის ზრდაც, ვინაიდან მსგავს პლატფორმებზე ერთი პირის მიერ საჯაროდ გამოხატული აზრი, შესაძლოა იჭრებოდეს სხვა პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებით დაცულ სფეროში.

წინამდებარე სტატიაში განხილულია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის არსებული პრობლემური საკითხები.

საკვანძო სიტყვები: *გამოხატვის თავისუფლება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, დაცული სფერო.*

Abstract

The issue of collision between the freedom of expression and the right to privacy is quite relevant at any stage of public development, especially for the world on the road to digitalization. Despite the importance of both rights and the fact that they are recognized as important principles of a democratic and fair state, it is quite difficult to develop their mutually enforceable mechanisms. The difficulty of the issue is determined by the diverse relationships which have moved into the virtual space and erased the line between freedom of expression and the private life of others.

People's daily life is unimaginable without new technologies. Most of society sees danger only when there is a harmful outcome. In other cases, caution is covered by the desire to satisfy daily needs, which increases the number of people using electronic means and endangering their privacy. The collision between freedom of expression and the right to privacy is exacerbated by the increase of social networks, because on such platforms the opinion expressed publicly by one person may step into the area protected by the right to privacy of another person.

This article discusses the problematic issues between the right to privacy and freedom of expression.

Keywords: *Freedom of expression, privacy, protected area.*

შესავალი

[1] თსუ იურუდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამის მე-2 კურსის სტუდენტი. ელ. ფოსტა:ninitchedia@gmail.com.

თანამედროვე ციფრულ ეპოქაში სადავოდ იქცა გამოხატვის თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ურთიერთმიმართების საკითხი. ერთი შეხედვით, აღნიშნული უფლებები ურთიერთაღსრულებადია, თუმცა ტექნოლოგიური რევოლუციის, კულტურული მრავალფეროვნებისა და ადამიანების უსაფრთხო ცხოვრებაზე მოთხოვნილების ზრდის პირობებში, აშკარა ხდება მათ შორის არსებული კოლიზია.

დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოვლინებაა გამოხატვის თავისუფლება, რაც გულისხმობს გარკვეულ საკითხებზე შეხედულების, აზრის გამოხატვის ან გამოხატვისაგან თავის შეკავების უფლებას. რაც შეეხება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, იგი აუცილებელია ინდივიდუალური ავტონომიისათვის და იმისთვის, რომ პიროვნებამ თავისი ცხოვრებისეული გადაწყვეტილებებისა და ქცევების მიუხედავად, თავი იგრძნოს დაცულად. ორივე უფლების რეალიზაციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება პიროვნების განვითარებისათვის, რაც როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე განაპირობებს ისეთი მექანიზმების ჩამოყალიბების მცდელობას, რომლებიც ხელს შეუწყობს მათ ურთიერთაღსრულებას. მიუხედავად აღნიშნულისა, ხშირ შემთხვევაში ერთი პიროვნების გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობა ზღუდავს მეორის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, რაც ყველაზე კარგად იჩენს თავს მასმედიის ყოველდღიურ საქმიანობასა და სოციალურ ქსელებში. დასახელებული პლატფორმები ადამიანებს აძლევს შესაძლებლობას საჯაროდ გამოხატონ თავიანთი აზრები ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც სხვისი პირადი ცხოვრების ნაწილია. სად გადის ასეთ დროს ზღვარი გამოხატვის თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას შორის? - ამ კითხვის აქტუალურობა დაკავშირებულია ტექნოლოგიური განვითარებისა და გლობალიზაციის სწრაფ ტემპთან. წინამდებარე ნაშრომი სწორედ აღნიშნული პრობლემის გაანალიზებას, გამოხატვის თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, როგორც დემოკრატიული საზოგადოების ძირითადი უფლებების, მნიშვნელობის აღქმას, მათი შეზღუდვის ფარგლების განსაზღვრასა და მათ შორის არსებული კოლიზიის გადაწყვეტას ემსახურება. ამასთან, განსაზღვრულია მათი დაცვის გარანტიები და რეკომენდაციები არსებული ურთიერთწინააღმდეგობის დასაძლევად. კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა ანალიტიკური მეთოდი, ეროვნული და საერთაშორისო ნორმატიული მასალა და სასამართლო პრაქტიკა.

1. გამოხატვის თავისუფლება

1.1 დაცული სფერო

გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ ქვაკუთხედს. იგი არის გარანტი ადამიანთა თავისუფლების, ხელისუფლების შეზღუდვისა და საზოგადოებრივი განვითარებისა. გამოხატვის თავისუფლება ხელს უწყობს თითოეული ინდივიდის თვითრეალიზაციას, რაც მას აქცევს დემოკრატიული საზოგადოების აუცილებელ ფუნდამენტად.[2] იგი მოიცავს გამოხატვის ყველა ფორმას, თუმცა არ შემოიფარგლება კლასიკური, წერილობითი და ზეპირი, ფორმებით,[3] რაც განპირობებულია საზოგადოების ტექნოლოგიური განვითარებით. უფრო კონკრეტულად, თანამედროვეობაში საზოგადოების უმეტესი ნაწილი ამა თუ იმ საკითხზე საკუთარი აზრის გამოსახატავად იყენებს სოციალურ ქსელებს, რაც მიუთითებს გამოხატვის ციფრული ფორმების ჩამოყალიბებაზე. იქედან გამომდინარე, რომ გამოხატვის თავისუფლების სათანადო უზრუნველყოფის გარეშე, პრაქტიკულად, შეუძლებელია სხვა უფლებების

[2] Ligens v. Austria, HUDOC Rep., 8 July, 1986; Dichand and Others v. Austria, HUDOC Rep., 26 May, 2002; Pentikainen v. Finland, HUDO Rep., 20 October; Ibrahimov and Mammadov v. Azerbaijan, HUDOC Rep., 3 February, 2020.

[3] Willes J., *The right to privacy,* Dartmouth Publishing LTD, 1993, 6.

სრულყოფილი რეალიზაცია,[4] არსებობს მისი დაცვის ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმები.

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის[5] ფორმულირებიდან გამომდინარე, ყველა ადამიანს აქვს უფლება ღიად გამოხატოს და გაავრცელოს აზრი, რომელიც წარმოადგენს მის სუბიექტურ შეფასებას ამა თუ იმ მოვლენის, იდეის, ფაქტისა თუ პიროვნების მიმართ.[6] რაც შეეხება საერთაშორისო დონეზე არსებულ დაცვის გარანტიებს, ხაზგასასმელია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი,[7] რომელიც არაერთხელ მოსულა წინააღმდეგობაში ამავე კონვენციით განმტკიცებულ სხვა უფლებებთან და გამხდარა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მსჯელობის საგანი. დასახელებული ნორმების საფუძველზე, შესაძლოა გამოიყოს გამოხატვის თავისუფლებით დაცული სფეროს რამდენიმე ძირითადი ასპექტი: აზრის ქონის უფლება, ინფორმაციისა და იდეების მიღების უფლება და შეურაცხმყოფელი გამოხატვა.[8] ისევე როგორც ყველა ძირითადი უფლების შემთხვევაში, სახელმწიფოს აქვს, ერთი მხრივ, პოზიტიური ვალდებულება, რაც გულისხმობს იმას, რომ მან უნდა დანერგოს გამოხატვის თავისუფლების უზრუნველმყოფი მექანიზმები, ხოლო, მეორე მხრივ, ნეგატიური ვალდებულება, რომ არ ჩაერიოს ადამიანების მიერ აზრისა და შეხედულების გამოხატვის პროცესში.

1.2 შეზღუდვის ფარგლები და საფუძვლები

მართალია, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა წინააღმდეგობაში მოდის დემოკრატიის პრინციპებთან, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს საზოგადოებაში აზრის თავისუფლად გამოხატვის შიში, თუმცა არსებობს ლეგიტიმური და გონივრული საფუძვლები, რომელთა არსებობისას მისი მოქმედების ფარგლები შესაძლოა შევიწროვდეს. ძირითადი სამართლებრივი სტანდარტის მიხედვით, გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში ჩარევა გამართლებულია, როცა აუცილებელია ბალანსის დაცვა სახელმწიფოს უმთავრესი ინტერესის ან მესამე პირთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების მიმართ.[9] ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ჩამოყალიბებულია წინაპირობები, რომელთა არსებობის დროსაც დასაშვებია გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა. ისინი ხშირ შემთხვევაში ერთმანეთთან თანხვედრაშია, რაც გარკვეულწილად განპირობებულია იმით, რომ მათი შეფასება ხდება თანაზომიერების პრინციპის გამოყენებით. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის კვლევის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ მე-10 მუხლით დაცულ სფეროში ჩარევის ყველაზე ხშირად დაყრდნობადი ლეგიტიმური მიზანი არის სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დაცვა. მსგავს შემთხვევებში სასამართლო მიმართავს ისეთ კლასიკურ მეთოდს, როგორიცაა უფლებათა დაბალანსება, თუმცა მისი გამოყენებაც გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, მით უფრო, რომ

---

[4] საქართველოს საკნონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე N1/3/421, 422, „საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II თავი, პარ. 6.

[5] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 17, 29/06/2020-ის რედაქცია, „აზრისა და გამოხატვის თავისუფლება დაცულია“.

[6] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის გადაწყვეტილება, საქმე N2/1/241, კრებული: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თბილისი, 2004 წელი.

[7] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 10.

[8] საქართველოს კანონი “სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, მე-3 მუხლი, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

[9] Rzeplinski A., *Restrictions to the expression of opinions or disclosure of information on domestic or foreign policy of the state,* Council of Europe, Budapest, 1997, 2.

თანამედროვე საზოგადოებრივი ურთიერთობები მეტად კომპლექსური და ციფრული ხასიათისაა. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კონსტიტუცია გამოხატვის თავისუფლების ევროპული კონვენციით გათვალისწინებულ მინიმალურ სტანდარტთან შედარებით უფრო მაღალი დაცვის გარანტიას იძლევა,[10] რადგან მასში არ არის გათვალისწინებული ზოგიერთი ისეთი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისათვის აუცილებელი საჯარო მიზანი, რაც განმტკიცებულია ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილით.

საინტერესოა, ოლივერ უენდელ ჰოლმსის მიერ ჩამოყალიბებული „იდეათა თავისუფალი ბაზრის" თეორია, რომლის მიხედვითაც, მავნე გამონათქვამების საწინააღმდეგო საუკეთესო საშუალება მათთვის სხვა აზრების დაპირისპირებაა მანამ, სანამ, საბოლოოდ, სწორი აზრი არ გაიმარჯვებს.[11] აღნიშნული მოსაზრება ვერ უძლებს კრიტიკას, ერთ მხრივ, იმის გამო, რომ შემოთავაზებული საშუალებით ვერ იქნება უზრუნველყოფილი იმ უფლებების დაცვა, რომლებიც გამოხატვის თავისუფლების საწინააღმდეგო მხარეს აღმოჩნდებიან, ხოლო, მეორე მხრივ, „გამოხატვის თავისუფლება უნდა შეეზღუდოს ადამიანს, რომელიც ხალხით გაჭედილ თეატრში შეგნებულად ტეხს ცრუ განგაშს შეძახილით - ხანძარი! და იწვევს პანიკას".[12]

2. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება

2.1 დაცული სფერო

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა არის ფართო მნიშვნელობის კონცეფცია, რომელიც, ერთი მხრივ, დაკავშირებულია ინდივიდუალური ავტონომიის დაცვასთან, ხოლო, მეორე მხრივ, ინდივიდსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობასთან.[13] აღნიშნული განაპირობებს იმას, რომ იგი არის ძირითადი უფლება, რომელიც საფუძვლად უდევს ადამიანის ღირსებასა და სხვა ისეთ ღირებულებებს, როგორებიცაა: გაერთიანების თავისუფლება, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, პიროვნების თავისუფალი განვითარება, უფლება ინფორმაციულ თვითგამორკვევაზე. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება ადამიანებს აძლევს შესაძლებლობას, დამოუკიდებლად გადაწყვიტონ, თუ ვისთან და რა ფარგლებში ექნებათ ურთიერთობა და როგორ წარმართავენ მათ ყოველდღიურობას. ეს კი, უზრუნველყოფს ადამიანთა თავისუფლების დაცვას, რაც პირდაპირპროპორციულად აისახება ჯანსაღი და დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებაზე.

მართალია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ჰქონდა მცდელობა, განესაზღვრა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებით დაცული სფერო,[14] თუმცა მან ვერ შეძლო მისი გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევა და აღნიშნა, რომ „პირადი ცხოვრების ფართო და მრავალმხრივი შინაარსიდან გამომდინარე, შეუძლებელია მისი ზუსტი და ამომწურავი განმარტება".[15] პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების განსაზღვრების პრობლემა უცხო არ არის სხვა სახელმწიფოებისთვისაც. მისი განმარტებების მრავალფეროვნება განპირობებულია სახელმწიფოთა და ინდივიდთა წარსული გამოცდილებისა და კულტურული გაგების განსხვავებულობით. ზოგიერთი კულტურა, უფრო მეტად ფოკუსირებულია საზოგადოების

---

[10] სახელმძღვანელო დოკუმენტი სასამართლო დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებული საქმეების განხილვისას, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI), თბილისი, 2020, 14.

[11] *Abrams v. United States,* U.S. Supreme Court, 10 November, 1919.

[12] იგივ.

[13] Banisar. D., *The Right to Information and Privacy: Balancing Rights and Managing Conflicts,* World Bank Institute, Washington DC, 2011, 6.

[14] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმე N1/3/407, II თავი, პარ. 4.

[15] იგივ.

უფლებების, მათ შორის, გამოხატვის თავისუფლების დაცვაზე, ზოგი კი, მეორე მსოფლიო ომის მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, პრიორიტეტს ანიჭებს ადამიანთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას.[16] ამგვარ ურთიერთსაწინააღმდეგო მიდგომებს შორის დაპირისპირება, თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების განვითარების კვალდაკვალ, სულ უფრო და უფრო მძაფრდება და საჭიროებს ოქროს შუალედის გამოძებნას.

2.2 შეზღუდვის ფარგლები და საფუძვლები

მართალია, არსებობს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის მძლავრი ეროვნული და საერთაშორისო ინსტრუმენტები,[17] თუმცა ამ დაცვის ფარგლები არის შეზღუდული და ფართოდ არ ვრცელდება ბევრ ისეთ საკითხზე, რომლებიც წამოიჭრება მასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის არსებულ კონფლიქტზე მსჯელობისას.[18] პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, კერძოდ, როდესაც არსებობს საჯარო ინტერესი და ამგვარ შეზღუდვას საზოგადოებისათვის იმაზე მეტი სიკეთის მოტანა შეუძლია, ვიდრე კონკრეტული პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შელახვაა. მსგავსი საჯარო ინტერესი შესაძლოა არსებობდეს ისეთი საკითხების მიმართ, როგორებიცაა: საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების დაცვა, მნიშვნელოვანი დანაშაულის სააშკარაოზე გამოტანა, საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხები, სახელმწიფოს სისტემური დანაშაული, სახელმწიფო სახსრების არარელევანტური გამოყენება. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ჩამონათვალი არ არის დეკლარირებული ხასიათის და შესაძლოა, შეიცვალოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლიდან გამომდინარეობს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა უნდა ეფუძნებოდეს კანონს, რომელიც, თავის მხრივ, უნდა შეესაბამებოდეს სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპის მოთხოვნებს.[19] რაც შეეხება იმ ინტერესებს, რომელთა დაკმაყოფილებასაც უნდა ისახავდეს მიზნად პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევა, საქართველოს კონსტიტუციისაგან განსხვავებით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია[20] იძლევა უფრო მეტ ჩამონათვალს, რომელთა შორისაცაა ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესები, უწესრიგობისა და დანაშაულის თავიდან აცილება, ჯანმრთელობა და მორალი. ამ მხრივ საქართველოს კონსტიტუცია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვის გაცილებით მაღალ სტანდარტს ადგენს და სამართალშემფარდებელს მკაცრ მოთხოვნებს უწესებს.

3. გამოხატვის თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების უფლებას შორის არსებული კოლიზია

3.1 კოლიზიის არსი და მიზეზები

გამოხატვის თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას შორის ბალანსის დაცვა თანამედროვე ციფრული სამყაროს ერთ-ერთი უდიდესი გამოწვევაა.

---

[16] Banisar D., *The Right to Information and Privacy: Balancing Rights and Managing Conflicts,* World Bank Institute, Washington DC, 2011, 6.

[17] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 8.

[18] Medel T., *The Right of the Public to Know and Freedom Entertainment: Information Seen from the Consumer's Angle,* Freedom of Expression and the Right to Privacy, Strasbourg, 1992, 3.

[19] კორკელია კ., მჭედლიძე ნ., ნალბანდოვი ა., *საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან,* თბილისი, 2005, 186-187.

[20] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენცია, მუხლი 8, მეორე პუნქტი.

ტექნოლოგიური განვითარებისა და ადამიანთა ყოველდღიური ციფრული მოთხოვნილებების ზრდის პირობებში, ხშირად ერთი ადამიანის გამოხატვის თავისუფლება ზღუდავს სხვისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ფარგლებს და პირიქით. მართალია, თანამედროვე ტექნოლოგიები აზრის გამოხატვის მთავარ საშუალებას წარმოადგენს, ზრდის ინფორმაციის გაზიარების შესაძლებლობას და მას ხელმისაწვდომს ხდის საზოგადოების ფართო წრეებისათვის, თუმცა ამის პარალელურად, ცალკეულ ადამიანთა პირადი ცხოვრება სრულიად დაუცველი ხდება და იზრდება მისი ხელყოფის რისკები. ამას განაპირობებს სოციალური ქსელების არასაკმარისი დაცულობა და ის, რომ ხშირად მათი მომხმარებლები მარტივი დასტურით გასცემენ თავიანთ პერსონალურ მონაცემებს ისე, რომ არც კითხულობენ, თუ როგორ მოხდება მათი გამოყენება და არც კი უფიქრდებიან, თუ რა ბედი შეიძლება ეწიოს მონაცემთა ბაზას, რომელშიც მათი პირადი ინფორმაციის აღრიცხვა მოხდება.

კიდევ ერთი მიზეზი, თუ რატომაც დააყენა გამოხატვის თავისუფლების ცენტრალურმა წყარომ - ციფრულმა ტექნოლოგიებმა, საფრთხის ქვეშ ადამიანთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, არის სახელმწიფოებისა და კერძო კომპანიების შესაძლებლობა, მინიმალურ ფასად შეაგროვონ პერსონალური მონაცემები და წარმოუდგენელი მასშტაბით გახადონ ხელმისაწვდომი მესამე პირთათვის საზღვრებს მიღმა.[21]

შესაძლოა, საფრთხის ქვეშ აღმოჩნდეს თავად გამოხატვის თავისუფლებაც. მაგალითად, ტელეკომპანიებს, რომლებიც ღიად ამხელენ სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ჯგუფების კორუმპირებულ ქმედებებს, უზღუდავენ საქმიანობას, იმ მოტივით, რომ იცავენ ამგვარი ჯგუფებისა და ცალკეული ადამიანების პირადი ცხოვრების უფლებას. ასეთ შემთხვევებში უპირატესობა უნდა მიენიჭოს გამოხატვის თავისუფლებას, ვინაიდან მედია აშუქებს ინფორმაციას, რომლის მიმართაც არსებობს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი, თუმცა საკითხის ამგვარი გადაწყვეტა რთულდება მიკერძოებული სასამართლო სისტემის, პირად ცხოვრებაზე ორიენტირებული საჯარო მოხელეებისა და მიკერძოებული ტელეკომპანიების არსებობის პირობებში. მსგავსი საზოგადოებრივი ინტერესი შესაძლოა უკავშირდებოდეს ჯანმრთელობასაც, რაც გლობალური COVID-19 პანდემიის დროს საკმაოდ აქტუალური აღმოჩნდა. კონკრეტული ადამიანის დაინფიცირება, მართალია, მისი პირადი ცხოვრების, კერძოდ, ჯანმრთელობის ნაწილია, თუმცა იქედან გამომდინარე, რომ ამით შესაძლოა, სხვასაც შეუქმნას საფრთხე, მისი გაშუქებისათვის პირს არ შეიძლება დაეკისროს რაიმე სახის პასუხისმგებლობა.

ზემოაღნიშნული მსჯელობა, იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ ტექნოლოგიურმა რევოლუციამ გაანადგურა ზღვარი საჯარო და კერძო აზროვნებასა და გამოხატვას შორის. სახელმწიფოები არიან იმ გზების ძიების პროცესში, რომელთა საშუალებითაც შეძლებენ მომხმარებელთა IP მისამართებისა და უნივერსალური პერსონალური მონაცემების დაცვას, თუმცა ციფრული პროგრესი ზრდის მათ ცდუნებას, გააკონტროლონ კერძო პირთა მიმოწერები და საუბრები, რაც, თავის მხრივ, იწვევს პირად ცხოვრებაში ინტერვენციას. ამას ადასტურებს ის, რომ სახელმწიფოებს, ინტერნეტ კომპანიების დახმარებით, აქვთ წვდომა მომხმარებელთა ონლაინ აქტივობის შესახებ გენერირებულ მონაცემებზე.

დასახელებულ მიზეზთა სიმრავლეს განაპირობებს გამოხატვის თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის მნიშვნელობა, რაც თავის მხრივ მოითხოვს მათი თანაარსებობისათვის საჭირო ურთიერთაღსრულებადი მექანიზმების

[21] პოლიტიკის დოკუმენტი, ორგანიზაცია "მე-19 მუხლი", *გამოხატვის თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გლობალური პრინციპები,* 2017, 32.

არსებობას, რომელთა შესახებაც საუბარი იქნება წინამდებარე ნაშრომის ცალკე თავში.[22]

3.2 სასამართლო პრაქტიკა

გამოხატვის თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას შორის არსებული კოლიზიის აქტუალურობა განაპირობებს როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის მრავალფეროვნებას. საინტერესოა, თუ რომელი უფლების დაცვას ენიჭება უპირატესობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში და როგორი სტანდარტებია დამკვიდრებული თითოეულის დაცვისათვის.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე M.L and W.W v. Germany უპირატესობა მიანიჭა გამოხატვის თავისუფლებას და დაადგინა, რომ როდესაც საქმე ეხება მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებს, პერსონალური მონაცემების დაშტრიხვა არ შეიძლება გამართლებული იყოს პირადი ცხოვრების პატივისცემის დაცვის მოტივით.[23] მოსარჩელეები, რომლებსაც ცნობილი მსახიობის მკვლელობისთვის მიესაჯათ სამუდამო პატიმრობა და, მოგვიანებით, გაათავისუფლეს პრობაციის წესით, რადიოსადგურ Deutschalandradio-საგან ითხოვდნენ, რომ მათ შესახებ ვებგვერდზე გავრცელებულ მასალებში დაეცვათ პერსონალური მონაცემების ანონიმურობა. ერთ მხარეს აღმოჩნდა მედიის პროფესიული ვალდებულება - გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში, საზოგადოებას მიაწოდოს მისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, ხოლო მეორე მხარეს - იმ კერძო პირთა პირადი ცხოვრება, რომლებიც ხდებოდნენ მორალური დაპირისპირების მსხვერპლნი და ვერასდროს შეძლებდნენ მკვლელის იარლიყის მოშორებას. კონკრეტულ საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გამოხატვის თავისუფლებისათვის უპირატესობის მინიჭება განპირობებული იყო იმით, რომ ცნობილი მსახიობის მკვლელობის მიმართ არსებობდა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი. განხილული გადაწყვეტილების მიხედვით, სასამართლოს მიერ მომზადებულ დოკუმენტებში პერსონალური მონაცემები განმცხადებლის მიერ დასაბუთებული მიმართვის საფუძველზე შეიძლება დაიშტრიხოს. რეკომენდირებულია, რომ საქართველოში სასამართლოებმა გაითვალისწინონ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების ფარგლებში ჩამოყალიბებული დასაბუთება ისეთი საქმეების გადაწყვეტისას, რომლებშიც ერთმანეთს უპირისპირდება გამოხატვის თავისუფლება და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება.[24]

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გამოხატვის თავისუფლების დარღვევა დაადგინა საქმეში Center for Democracy and the Rule of Law v. Ukraine[25] და ჩათვალა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციისთვის ინფორმაციის გაცემაზე უარი არ იყო აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისათვის. ორგანიზაციამ საპარლამენტო არჩევნების ჩატარებამდე, ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან მოითხოვა იმ 6 პოლიტიკოსის CV, რომლებიც პოლიტიკური პარტიების სიებში პირველ ადგილს იკავებდნენ იმ მიზნით, რომ საზოგადოებისათვის მიეწოდებინა ინფორმაცია კანდიდატების

---

[22] გვ. 9, გამოხატვის თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების უფლების ურთიერთაღსრულებადი მექანიზმები.

[23] M.L. and W.W. v. Germany, HUDOC Rep., 28 June, 2018.

[24] ინფორმაციის თავისუფალი განვითარების ინსტიტუტი (IDFI), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილება: ინტერნეტში განთავსებულ ინფორმაციაზე წვდომა V. დავიწყების უფლება, 3 ივლისი, 2018, ხელმისაწვდომია ბმულზე: ადამიანის უფლებათა ევროპული <სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილება: ინტერნეტში განთავსებულ ინფორმაციაზე წვდომა V. დავიწყების უფლება (idfi.ge)> [ბოლოს ნანახია 04.05.2022].

[25] Center for Democracy and the Rule of Law v. Ukraine, HUDOC, 26 March, 2020.

კეთილსინდისიერების შესახებ. კომისიამ არ გასცა სრული CV იმ საფუძვლით, რომ იგი შეეხებოდა პოლიტიკოსების განათლებასა და სამუშაო გამოცდილებას, რაც წარმოადგენდა კონფიდენციალურ ინფორმაციას და, შესაბამისად, მათ პირად ცხოვრებას. მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეფუძნებოდა სრულიად ლოგიკურ არგუმენტებს, ვინაიდან არასამთავრობო ორგანიზაციები ასრულებენ „საზოგადოებრივი დარაჯის“ როლს. საჯარო ინტერესი პოლიტიკოსების კეთილსინდისიერების შესახებ უფრო მეტად დაცვის ღირსი იყო, ვიდრე ამ უკანასკნელთა პირადი ცხოვრებით მოცული განათლებისა და სამუშაო გამოცდილების შესახებ ინფორმაციის დაცვა.

საინტერესოა, სასამართლო პრაქტიკის ის ნაწილი, სადაც უპირატესობა ენიჭება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვას. მაგალითად, შესაძლოა დასახელდეს გერმანიის ტელეკომპანია "ZDA"-ს შემთხვევა, როდესაც მას აეკრძალა სატელევიზიო ეთერში იმ დოკუმენტური ფილმის გაშვება, რომელიც ეხებოდა გახმაურებული საქმის დამნაშავის პირად ცხოვრებას.[26] მართალია, აღნიშნული დოკუმენტური ფილმისა და პიროვნების მიმართ არსებობდა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი, თუმცა ჩვენება ემთხვეოდა დამნაშავის გათავისუფლების დღეს, რის გამოც, ცხადია, შეფერხდებოდა მისი რესოციალიზაციის პროცესი. აღნიშნული კი, ადამიანის პირადი ცხოვრების ერთ-ერთი შინაარსობრივი კომპონენტია და სწორედ მასზეა დამოკიდებული მისი სამომავლო ცხოვრება და საზოგადოებასთან ურთიერთობა.

განხილული სასამართლო პრაქტიკა იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ მაშინ, როცა კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოებრივი ინტერესი მაღალია, უპირატესობა ენიჭება გამოხატვის თავისუფლებას, მაგრამ რაც უფრო კვეთს აღნიშნული ინტერესი ზღვარს საჯარო და კერძო სივრცეს შორის და უახლოვდება კონკრეტული პიროვნების პირად ცხოვრებას, ეს უკანასკნელი გადაწონის მას.

4. გამოხატვის თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების უფლების ურთიერთაღსრულებადი მექანიზმები

2000-იანი წლების დასაწყისში ტექნოლოგიების განვითარებით შთაგონებულმა საზოგადოებამ იწინასწარმეტყველა „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და კონფიდენციალურობის სიკვდილი“.[27] იმ დროისათვის ამგვარი წინასწარმეტყველება გაზვიადებული ჩანდა, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვეობაში აღსრულდა კიდეც, რადგან არსებობს ტექნოლოგიური საზოგადოების მიერ პირად ცხოვრებაში ინტერვენციის რისკები. გასული ათწლეულების განმავლობაში, ინდივიდუალური ავტონომიის მიმართ არსებულმა საფრთხეებმა ფიზიკური სამყაროდან ვირტუალურ სამყაროში გადაინაცვლა.[28] მართალია, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებისათვის მთავარი საფრთხე აღმოჩნდა გამოხატვის თავისუფლების თანამედროვე მეთოდების ჩამოყალიბება, თუმცა ეს უკანასკნელიც არანაკლებ დაუცველია. აღნიშნული განაპირობა იმან, რომ საზოგადოებამ მთავარი ვექტორი მიმართა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის მიმართ იმის შიშით, რომ გამოხატვის ახალი მეთოდების დანერგვას არ მოეხდინა მისი დარღვევა. სინამდვილეში კი, დაიცვა ერთი უფლება, მეორის ხარჯზე და შეარყია გამოხატვის თავისუფლების დაცვის გარანტიები. აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად საჭიროა ისეთი მექანიზმების დამკვიდრება, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა ურთიერთაღსრულებას. ციფრულ

[26] შვაბრე ი., *გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები*, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება, თბილისი, 2011, 131.

[27] Garfinkel S., *Database Nation: The Death of Privacy in the 21st Century*, Sebastopol, 2001.

[28] Bauer K., *"Healthcare Ethics in the Information Age"*, Handbook of Research on Techno ethics, 2008, 179.

ეპოქამდე საზოგადოებაში შემუშავებულ იქნა ტრადიციული მექანიზმები იმისათვის, რომ დაეცვათ მხარეთა ორმხრივი ინტერესები და ბალანსი გამოხატვის თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას შორის.[29] მათი ეფექტურობა ეჭვქვეშ დააყენა ციფრული საზღვრების გაფართოებამ და გააჩინა ახალი გზების ძიების საჭიროება.

პირველ რიგში, სახელმწიფოთა ვალდებულებაა, უზრუნველყონ ისეთი კანონმდებლობის შექმნა, რომლითაც განამტკიცებენ გამოხატვის თავისუფლებას, როგორც აზრის დაფიქსირებისა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას, როგორც პირადი და ოჯახური ცხოვრების, კომუნიკაციის დაცვის გარანტს. ამ გზით შესაძლებელი იქნება ორ უფლებას შორის ბალანსის დაცვა, რაც თავის მხრივ დადებითად აისახება სახელმწიფოთა დემოკრატიის ხარისხზე. მსგავსი მექანიზმების დანერგვა ხელს შეუწყობს პოლიტიკური ელფერის ცვლილებასაც, ვინაიდან გამოხატვის თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გარანტირების შემთხვევაში, ადამიანებს არ ექნებათ თავიანთი პოლიტიკური შეხედულების ღიად დაფიქსირებისა და არჩევნებზე სასურველი კანდიდატისათვის ხმის მიცემის შიში.[30]

იქედან გამომდინარე, რომ გამოხატვის თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას შორის არსებული დაპირისპირების მთავარი მიზეზი არის ციფრული კომუნიკაციის საშუალებები, საჭიროა, ისეთი კანონმდებლობის ჩამოყალიბება, რომელიც დაგმობს მასობრივ მიყურადებას და საჭიროების შემთხვევაში მხოლოდ პროპორციულად ჩაერევა ადამიანთა პირად ცხოვრებაში. ამასთან, მნიშვნელოვანია მონაცემთა ბაზების გამოყენების საკითხის დარეგულირება. ხშირად ხდება სხვადასხვა სოციალური ქსელის მომხმარებელთა პერსონალური მონაცემების აღრიცხვა, რაც მათი დაცვისა და პროგრამათა შეუფერხებელი მუშაობის მოტივით არის გამართლებული. უნდა ჩამოყალიბდეს ისეთი მექანიზმები, რომლებითაც თავიდან იქნება აცილებული სახელმწიფოების ან კერძო კომპანიების მიერ აღნიშნული პერსონალური მონაცემებით სარგებლობა, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა. საჯარო და კერძო სფეროს შორის ბალანსის დაცვისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს სოციალური ქსელების ან კერძო კომპანიების მომხმარებელთა ანონიმურობა და მათი სურვილის შემთხვევაში, პერსონალური მონაცემების კოდირება.

აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, განსახილველი პრობლემის გადასაწყვეტად, აუცილებელია შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბება, თუმცა მას პრაქტიკული რეალიზების გარეშე, ვერ ექნება სათანადო შედეგი.

კიდევ ერთი საკითხი, სადაც ხდება გამოხატვის თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების გადაკვეთა არის მედიის ყოველდღიური საქმიანობა. ტელეკომპანიებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა იმისა, რომ გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში საზოგადოებას მიაწოდონ მათთვის საინტერესო ინფორმაცია, იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი ეხება კონკრეტულ პირთა პირად ცხოვრებას. მნიშვნელოვანია, დაწესდეს ზღვარი, თუ რა ფარგლებში და ვის შესახებ არის მედიის მხრიდან ინფორმაციის გავრცელება დასაშვები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოთა მიერ მათზე დაკისრებული ვალდებულებების პირნათლად შესრულების, კერძოდ, დასახელებული მექანიზმების ჩამოყალიბების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება გამოხატვის თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების

[29] Connataci A. J., Zhao B., Vives T.G., Monteleone S., Bonnici M.J., Moyakine E., *Balancing Privacy and Transparency and Redefining Their New Boundaries in the Internet Ecosystem,* UNESCO Internet Study, 2016, 25.

[30] Boone C.K., *Privacy and Community,* Social Theory and Practice, Vol.9, No. 1, 1983, 8.

ხელშეუხებლობის უფლებას შორის ბალანსის დაცვა და მათი ურთიერთაღსრულებად უფლებებად მიჩნევა.

დასკვნა

დასკვნის სახით, საჭიროა, კიდევ ერთხელ გაესვას ხაზი გამოხატვის თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ფუნდამენტურ მნიშვნელობას დემოკრატიულ საზოგადოებაში და ტექნოლოგიური განვითარების პირობებში, მათ შორის ბალანსის დაცვის აუცილებლობას.

სახელმწიფოს წინაშე დგას გამოწვევა, რომ უზრუნველყოს ორივე უფლების დაცვა იმგვარად, რომ არ მოხდეს არც ერთის გაუმართლებელი შეზღუდვა. ამგვარი გამოწვევა თავს იჩენს მაშინ, როცა ერთი პირის გამოხატვის უფლება ხელყოფს მეორე პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას, ან პირიქით - კონკრეტული პირის პირადი ცხოვრება და მისი ყოველდღიურობა ზრდის სხვა ადამიანის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის რისკებს. ამგვარი ღირებულებათა კონფლიქტი უფრო გაამწვავა ტექნოლოგიურმა რევოლუციამ, მონაცემთა ბაზების ხელმისაწვდომობამ, სახელმწიფოთა სურვილმა, აკონტროლონ კომუნიკაციის სხვადასხვა წყარო, მედიის საქმიანობამ და საჯარო ინტერესთა მრავალფეროვნებამ. სწორედ ამ პრობლემის გადაწყვეტისათვის საჭირო რეკომენდაციებს მოიცავს წინამდებარე ნაშრომი, საკანონმდებლო და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე. უფრო კონკრეტულად, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ინტერესსა და გამოხატვის თავისუფლებას შორის არსებული კოლიზიის დასაძლევად, საჭიროა შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეთა უსაფრთხოებას და გაზრდის მათი ნდობის ხარისხს. ამასთან, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სოციალური ქსელების მომხმარებელთა ანონიმურობა და ავტორიზაციის გზით მოპოვებული პერსონალური მონაცემები არ უნდა იყოს ადვილად ხელმისაწვდომი კერძო კომპანიებისა და სახელმწიფოსათვის. მნიშვნელოვანია მედია-საქმიანობის დარეგულირებაც, რაც გულისხმობს იმას, რომ უნდა დადგინდეს, თუ სად გადის ზღვარი მათ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში გამოხატვის თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას შორის. საბოლოოდ, წინამდებარე ნაშრომი იძლევა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ განხილულ უფლებათა შორის ბალანსის დასაცავად, საჭიროა ყოველი კონკრეტული შემთხვევის გარემოებების შეფასება, ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ჩამოყალიბებული პრინციპების დაცვა და გამართული საკანონმდებლო და სასამართლო პრაქტიკა.

ბიბლიოგრაფია

1. შვაბრე ი., *გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები*, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება, თბილისი, 2011;
2. კორკელია კ., მჭედლიძე ნ., ნალბანდოვი ა., *საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან,* თბილისი, 2005;
3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის გადაწყვეტილება, საქმე N2/1/241, კრებული: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თბილისი, 2004 წელი;
4. საქართველოს საკნონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე N1/3/421, 422, „საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმე N1/3/407;
6. ინფორმაციის თავისუფალი განვითარების ინსტიტუტი (IDFI), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილება: ინტერნეტში განთავსებულ ინფორმაციაზე წვდომა V. დავიწყების უფლება, 3 ივლისი, 2018, ხელმისაწვდომია ბმულზე: <ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილება: ინტერნეტში განთავსებულ ინფორმაციაზე

წვდომა V. დავიწყების უფლება (idfi.ge)> [ბოლოს ნანახია 04.05.2022];
7. პოლიტიკის დოკუმენტი, ორგანიზაცია "მე-19 მუხლი", *გამოხატვის თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გლობალური პრინციპები,* 2017;
8. სახელმძღვანელო დოკუმენტი სასამართლო დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებული საქმეების განხილვისას, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI), თბილისი, 2020;
9. საქართველოს კონსტიტუცია, 2020 წლის 29 ივნისის რედაქცია;
10. საქართველოს კანონი "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ", 2004 წლის 24 ივნისი;
11. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია, 1950 წლის 4 ნოემბერი;
12. Boone C.K., *Privacy and Community,* Social Theory and Practice, Vol.9, No. 1, 1983;
13. Rzeplinski A., *Restrictions to the expression of opinions or disclosure of information on domestic or foreign policy of the state,* Council of Europe, Budapest, 1997;
14. Banisar. D., *The Right to Information and Privacy: Balancing Rights and Managing Conflicts,* World Bank Institute, Washington DC, 2011;
15. Willes J., *The right to privacy,* Dartmouth Publishing LTD, 1993;
16. Bauer K., *"Healthcare Ethics in the Information Age",* Handbook of Research on Techno ethics, 2008;
17. Garfinkel S., *Database Nation: The Death of Privacy in the 21st Century*, Sebastopol, 2001;
18. Medel T., *The Right of the Public to Know and Freedom Entertainment: Information Seen from the Consumer's Angle,* Freedom of Expression and the Right to Privacy, Strasbourg, 1992;
19. Connataci A. J., Zhao B., Vives T.G., Monteleone S., Bonnici M.J., Moyakine E., *Balancing Privacy and Transparency and Redefining Their New Boundaries in the Internet Ecosystem,* UNESCO Internet Study, 2016;
20. M.L. and W.W. v. Germany, HUDOC Rep., 28 June, 2018;
21. Ligens v. Austria, HUDOC Rep., 8 July, 1986; Dichand and Others v. Austria, HUDOC Rep., 26 May, 2002; Pentikainen v. Finland, HUDO Rep., 20 October; Ibrahimov and Mammadov v. Azerbaijan, HUDOC Rep., 3 February, 2020;
22. *Abrams v. United States,* U.S. Supreme Court, 10 November, 1919;
23. Center for Democracy and the Rule of Law v. Ukraine, HUDOC, 26 March, 2020.